საგაზეთო ჩანართი
ინტელექტი
ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა
№11 / 2014

# „თვითმმართველობა და განვითარება“

## „SWOT ანალიზი წარმატებული მუშაობის წინაპირობაა“

**„თვითმმართველობა და განვითარება“ – ასე ეწოდება ტრენინგს, რომელიც აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკრებულოების იურიდიულ-საპროცედურო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრებისათვის ჩაატარა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა.“ ტრენინგის თემატიკა წინასწარი ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე შემუშავდა და აღნიშნული კომისიების საქმიანობის გაუმჯობესებას, საკრებულოს წევრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.**



ლევან გობაძე




ტრენინგი კვალიფიციურმა ტრენერებმა ჩაატარეს

ტრენინგი „თვითმმართველობა და განვითარება“ ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვით დაიწყო. აქვე განიხილეს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ადგილი ხელისუფლების განხორციელებაში; საკრებულოს წევრის უფლებამოსილება; საკრებულოში საკითხის ინიცირების ფორმები; საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულება; მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების ძირითადი პრინციპები; კვლევისა და ანალიზის მეთოდები; საინვესტიციო პასპორტის დანიშნულება; საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და ასე შემდეგ.

თეორიული ნაწილი მსმენელებმა პრაქტიკაში იმიტირებულ საკრებულოს სხდომაზე გამოსცადეს. როგორც მსმენელები აცხადებენ, ტრენინგი საინტერესო და სასარგებლო იყო და აქ მიღებულ ცოდნას თავიანთ მუნიციპალიტეტებში რეალურად გამოიყენებენ.

„შეიძლება ითქვას, ამ ტრენინგზე, ჩემი, როგორც მსმენელის დებიუტი შედგა. ყველა განხილული საკითხი ძალიან საინტერესო იყო; მომეწონა ისიც, რომ თეორიული ნაწილის იმიტირებულ სხდომაზე გამოყენების საშუალება მოგვცეს. ჩემთვის მისაღებია პრობლემების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მეთოდები, რომელიც ტრენინგზე განვიხილეთ და ვეცდები პრაქტიკაში დავნერგო ქობულეთის მუნიციპალიტეტში დაბრუნებისთანავე. მიმაჩნია, რომ ეს ტრენინგი საშუალებას მომცემს, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, უკეთ წარმოვაჩინო ჩემი თემი საკრებულოში და პირიქით, საკრებულო თემში,“ – აღნიშნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გურამ აბაშიძემ.

მიშა ბოლქვაძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. იგი წინა მოწვევის საკრებულოს წევრიც იყო და შესაბამისად, გამოცდილებაც მეტი აქვს. იგი 2010 წლის ნოემბერში მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ პროექტის – „ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ – ფარგლებში ორგანიზებულ ტრენინგზე, რომელიც თვითმმართველობის საკითხებს ეხებოდა. ტრენინგში, „თვითმმართველობა და განვითარება“, მიშა ბოლქვაძემ ახლაც სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა, „სწავლა არასდროს არ არის ზედმეტი და თუ მოგეცემა ამის შანსი, მაქსიმალურად უნდა გამოიყენო“ – ამბობს ის.

მიშა ბოლქვაძე თვლის, რომ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად სწორად შეირჩა კომისიები (იურიდიულ-საპროცედურო და საფინანსო-საბიუჯეტო). „ეს არის წამყვანი კომისიები, რომლებზეც საკრებულოს საქმიანობის მეტი წილი მოდის და შეიძლება ითქვას, საკრებულოს ხერხემალს წარმოადგენს“ – ამბობს მიშა ბოლქვაძე. იგი, გამოცდილების მიუხედავად, ყველაზე უფრო საინტერესო თემად საკრებულოს სხდომაზე საკითხის ინიცირების წესს ასახელებს.

მუშაობის მრავალფეროვანი სტაჟი აქვს, მაგრამ საკრებულოს წევრი პირველადაა თეიმურაზ დუმბაძე. იგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო რამდენიმე წლის წინ, ახლა კი საკრებულოს წევრია და ასევე იურიდიულ-საპროცედურო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრიც. „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი მას დროულად და საინტერესოდ მიაჩნია და სურს მსგავსი ტრენინგები სხვა კომისიებმაც (სოციალური, განათლების და ასე შემდეგ) გაიარონ. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მხოლოდ სამი ადამიანია, რომელსაც იქ მუშაობის გამოცდილება აქვს. დანარჩენები პირველად ვართ საკრებულოს წევრები და მსგავსი ტრენინგები ყველას ჭირდება,“ – განაცხადა თეიმურაზ დუმბაძემ. ყველაზე საინტერესო თემად ისიც ინიცირების საკითხს და ბიუჯეტის შედგენას ასახელებს.

ტრენინგის ნაყოფიერებაზე საუბრობს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ზურაბ ტუნაძეც. იგი 1999 წლის მოწვევის ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ხელმძღვანელობდა და ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერებასა და შევსების საკითხებზე სტაჟირება გაიარა ვაშინგტონში, მაგრამ თვლის, რომ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და აღნიშნულ საკითხებზე ტრენინგი „ინტელექტის“ მხრიდან დროული და სასარგებლო იყო: „მიუხედავად ჩემი გამოცდილებისა, ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე. განსაკუთრებით ხაზი უნდა გავუსვა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების საკითხს, ბიუჯეტის შედგენას, პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდებს... ჩემთვის ახალი და საინტერესო იყო SWOT ანალიზი. თუ ამ კუთხით მივუდგებით ჩვენს მუნიციპალიტეტს, ასე კარგად გავიაზრებთ მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს და განვითარების სწორ გეგმას შევიმუშავებთ. SWOT ანალიზი წარმატებული მუშაობის წინაპირობაა. სასურველია ყველა დარგში და ყველა თემში მისი გაკეთება.“

ვახტანგ ზოიძე შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ-საპროცედურო კომისიის წევრია. იგი საკრებულოში სამსახურეობრივი გამოცდილების გარეშე მოვიდა. მას მიაჩნია, რომ „ეს ტრენინგი გვასწავლის, როგორ ვმართოთ თვითმმართველობა. ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება მიიქცია და დამამახსოვრდა ინფორმაციის გადაცემის ქეისი, როცა ამბავი ცხრა კაცში ისე დაიკარგა, რომ ადრესატამდე სხვა ინფორმაციად მივიდა – საკრებულოს სხდომა ფრაქციის სხდომად გადაიქცა. ამ ქეისის განხილვამ კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა იმაში, რომ ზერელედ არ უნდა მივუდგეთ საკითხს, მით უმეტეს თუ მოსახლეობას ეხება. კარგად უნდა შევისწავლოთ და დოკუმენტალურად მივაწოდოთ.“ ვახტანგ ზოიძე „ინტელექტის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგის ერთ-ერთ დადებით მხარედ იმასაც მიიჩნევს, რომ აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს საშუალება ჰქონდათ ხუთი დღის განმავლობაში გაეცნოთ ერთმანეთი და გაეცვალათ ინფორმაცია.

გენდერული ბალანსი ტრენინგზე „თვითმმართველობა და განვითარება“ აბსოლუტურად დარღვეული იყო: ტრენინგს საკრებულოს ოცდაათ წევრს შორის მხოლოდ ერთი ქალბატონი ესწრებოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან – ნესტან დიდმანიძე. „ძალიან საინტერესო ტრენინგი იყო ინფორმაციის მიღების და გუნდური მუშაობის პრინციპის თვალსაზრისით. ყველა თემა საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო. მომეწონა ის, რომ თეორიული ნაწილით არ გვტვირთავდნენ და მაქსიმალურად ვიყავით ჩართული მსმენელებიც. ვფიქრობ, ეს საუკეთესო მეთოდია ინფორმაციის ათვისებისათვის,“ – ამბობს ის.

ნესტანი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ტრენინგი გასვლითი იყო (ტრენინგი კურორტ საირმეში ჩატარდა): „სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა ტრენინგი. საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით ყოფნამ ყოველდღიური ყოფითი პრობლემები დროებით გვერდზე გადაგვადებინა და მხოლოდ სწავლაზე ვიყავით ორიენტირებული. მე მოვუწოდებ საკრებულოს წევრ ქალბატონებს, თუ კი მიეცემათ შანსი მსგავს ტრენინგს დაესწრონ და კვალიფიკაცია აიმაღლონ, უარი არ თქვან.“

„უდავოა, რომ ტრენინგი ნაყოფიერი იყო. საკრებულოს წევრები ინტერესით ისმენდნენ და ცდილობდნენ ყოველი საკითხი საკუთარი მუნიციპალიტეტის მაგალითზე განეხილათ და საკუთარი თემის პრობლემაზე მოერგოთ. ტრენინგზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება საკრებულოს ეფექტურად მუშაობის ერთ-ერთ გარანტად გვევლინება,“ – ამბობს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან გობაძე.

ტრენინგი „თვითმმართველობა და განვითარება“ პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისათვის“ – ფარგლებში ჩატარდა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტრენინგს კვალიფიციური ტრენერები კითხულობდნენ: ლევან გობაძე, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი; გენო გელაძე, განათლების დოქტორი; დავით არძენაძე, ეკონომიკის მაგისტრი; მარინე პაპუნიძე, ბიზნეს-ადმინისტრირების ბაკალავრი; ტრენინგში მონაწილეობა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების იურიდიულ-საპროცედურო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების 3-3-მა წევრმა მიიღო (თითოეული მუნიციპალიტეტიდან 6-6 წევრი). მათ სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.
ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის
ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები
დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება
არ ემთხვეოდეს ევროკავშირის
ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge